საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ნ.

საჩივრის ავტორის თარჯიმანი: ა. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის №006/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 იანვარს ნ. ნ.-მა საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი 2013 წელს შეუთანხმდა ადვოკატ ლ. ჭ.-ს საადვოკატო მომსახურების მიღების თაობაზე. ადვოკატმა ერთ-ერთ საქმეზე გაუწია იურიდიული მომსახურება საჩივრის ავტორს, რის შემდეგაც ნ. ნ.-ს სურდა მარნეულის რაიონის სადახლოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მისი შვილის სახელზე დარეგისტრირება. აღნიშნული საქმის წარმოებისთვის საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა 1000 აშშ დოლარი და 350 ლარი, რაც მოიცავდა როგორც ჰონორარს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის შეძენასთან დაკავშირებით გასაწევ ხარჯებსაც, თუმცა, იმ ეტაპზე, მიწის ნაკვეთის ზუსტი ფასი უცნობი იყო.

1.3 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ლ. ჭ.-ს შორის 2016 წლის 31 აგვისტოს გაფორმდა ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი შეძლებდა მიწის ნაკვეთის გადაფორმებას 2016 წლის 31 სექტემბრამდე, საჩივრის ავტორს ადვოკატისთვის დამატებით უნდა გადაეხადა 1000 აშშ დოლარი.

1.4 ნ. ნ.-ის განმარტებით, ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა სასამართლოში და რამდენიმე ადგილას, თუმცა ადვოკატისგან მას არ ჰქონდა ინფორმაცია კონკრეტულად რა მოქმედებები განახორციელა მის საქმესთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორი ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა რუსთავში, სადაც გუბერნატორის სახელზე დაწერეს განცხადება. ამასთან ადვოკატმა მიმართა საჯარო რეესტრს განცხადებით, მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე თანხმობის მოპოვებასთან დაკავშირებით, თუმცა როგორც ადვოკატმა აცნობა იმ ეტაპისთვის ეკონომიკის სამინისტროსგან უნდა დალოდებოდნენ მათ ნებართვას მიწის ნაკვეთის შეძენისათვის, რის შემდგომაც შეძლებდნენ მიწის ყიდვას.

1.5 ვინაიდან, ადვოკატმა მათ შორის არსებული წერილობითი შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ თავად მისი შვილი მოაგვარებდა მიწის ნაკვეთის გადაფორმების საკითხს და შესაბამისად, ადვოკატ ლ. ჭ.-ს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ორჯერ მიმართა წერილობით ადვოკატს თანხის მოთხოვნის თაობაზე, ვერ ახერხებდა მასთან სატელეფონო კომუნიკაციას. აღნიშნულის შემდგომ, საჩივრის ავტორმა 2017 წელს ადვოკატ ლ. ჭ.-ის წინააღმდეგ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ადვოკატისგან ითხოვდა 1000 აშშ დოლარის დაბრუნებას, თუმცა მხარეთა შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის საფუძველზეც ადვოკატს ნ. ნ.-ისთვის უნდა დაებრუნებინა 800 აშშ დოლარი და 350 ლარი.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა 1000 აშშ დოლარიდან - თანხის ნაწილი 500 აშშ დოლარი დაუბრუნა მას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა შვილმა დამოუკიდებლად, სხვა ადვოკატის დახმარებით შეძლო მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება. საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვს თანხის სრულად დაბრუნებას და ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატის განმარტებით, ის ნ. ნ.-ს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, რაც ეხებოდა მარნეულში, სადახლოს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას.

2.2. ადვოკატმა მასზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულა, მათ შორის, მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, საიდანაც მოიძია დოკუმენტები, მიწის ნაკვეთის შეძენის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელი „თანხმობები“, რაც ნ. ნ.-ს დაეხმარებოდა მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებაში. ეროვნული სააგენტოს პასუხის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მიყიდვაზე თანხმობისათვის საჭირო იყო ნ. ნ.-ს გარკვეული ვალდებულებები შეესრულებინა მიწის ნაკვეთის შეძენის შემდგომ. კერძოდ, „ჩაეტარებინა გარკვეული სამუშაოები მიწის ნაკვეთზე, განეთავსებინა წყლის ონკანი, ა.შ.“, რის შესახებაც ადვოკატისგან ინფორმირებული იყო ნ. ნ..

2.3. ადვოკატი ადასტურებს, რომ 2016 წლის 31 აგვისტოს მასსა და ნ. ნ.-ს შორის გაფორმდა ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილი, რაც ეხებოდა მიწის ნაკვეთის გადაფორმების შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დამატებით, 1000 აშშ დოლარის მიღებას, რომელიც მოიცავდა წარმატების ჰონორარსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა დაებრუნებინა მიღებული თანხა 1000 აშშ დოლარი საჩივრის ავტორისთვის.

2.4. ადვოკატი განმარტავს რომ მომჩივანისგან მიღებული 1000 აშშ დოლარი ჰონორარის გარდა მოიცავდა საქმესთან დაკავშირებით გასაწევ ხარჯებსაც, მათ შორის სატრანსპორტო ხარჯსაც.

2.5. ადვოკატის განმარტებით, ცოტა დრო იყო გასული მიწის ნაკვეთის გადაფორმების პროცედურის დასრულებამდე, რა დროსაც მისგან ფარულად უკვე საჩივრის ავტორმა ქონება მის სახელზე დაირეგისტრირა. კერძოდ, ადვოკატისთვის მოულოდნელი იყო ის გარემოება, რომ ნ. ნ.-ის შვილმა მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით შეძენა მოითხოვა.

2.6. ადვოკატის განცხადებით, ნ. ნ.-სა და მას შორის არსებობდა ნდობა და საჩივრის ავტორი ყველთვის კმაყოფილი იყო მისი საადვოკატო მომსახურებით სხვა საქმეებთან დაკავშირებით, ეუბნებოდა, რომ „ის მისი ადვოკატი იქნებოდა, სანამ ცოცხალი იყო“.

2.7. ადვოკატ ლ. ჭ.-ის განმარტებით, სწორედ მისი მიმართვების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე თანხმობის მოპოვება, რის საფუძველზეც ნებისმიერ პირს შეეძლო შემდგომ მიწის ნაკვეთის შეძენა მოეთხოვა.

2.8. ადვოკატის განცხადებით, მან მორიგების აქტი იმ მიზნით გააფორმა, რომ დამატებით, სხვა საქმეზე მოუწევდა საადვოკატო მომსახურების განხორციელება ნ. ნ.-ისთვის. ადვოკატმა ნ. ნ.-ს მიღებული თანხიდან დაახლოებით 500 აშშ დოლარი დაუბრუნა, თუმცა აღარ აპირებს მისთვის დარჩენილი თანხის სრულად დაბრუნებას მის მიმართ მომჩივანის დამოკიდებულების გამო, რომელიც არასწორად განმარტავს, რომ თითქოს მას საქმეზე არაფერი გაუკეთებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2020 წლის 05 მარტს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გამოუმუშავებელი ჰონორარის და კლიენტის ფულადი სახსრების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევის საფუძვლით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდგომში „აპეკ“-ის 8.15 მუხლი).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2013 წელს საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ლ. ჭ.-ს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, რომლის მიხედვითაც, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა მარნეულის რაიონის სადახლოს ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაფორმების საკითხის მოგვარება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.1.2 ადვოკატ ლ. ჭ.-ს მისი მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან წერილობით ეცნობა, რომ შესაბამისი პირობების შესრულების შემთხვევაში, მიზანშეწონილი იქნებოდა არსებული უძრავი ქონების იჯარა/პრივატიზებით გაცემა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი 05.02.2016.

4.1.3 მიწის ნაკვეთის გადაფორმების საკითხის მოგვარებისთვის ადვოკატმა საჩივრის ავტორისგან მიიღო 1000 აშშ დოლარი და 350 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ 2016 წლის 31 სექტემბრამდე ადვოკატი შეძლებდა მიწის ნაკვეთის გადაფორმების საკითხის მოგვარებას, საჩივრის ავტორს დამატებით უნდა გადაეხადა 1000 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატს უნდა დაებრუნებინა საჩივრის ავტორისგან მიღებული თანხები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ნ. ნ.-სა და ლ. ჭ.-ს შორის სანოტარო აქტით გაფორმებული ხელწერილი 31.08.2016.

4.1.4 ნ. ნ.-მა 2017 წლის 20 იანვარს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადვოკატ ლ. ჭ.-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მათ შორის გაფორმებული ხელწერილით არსებული ფულადის ვალდებულების შესრულება - 1000 აშშ დოლარის დაბრუნება, რის შედეგადაც, მხარეთა შორის გაფორმდა მორიგების აქტი. მორიგების აქტით, ადვოკატ ლ. ჭ.-ს ნ. ნ.-ისთვის უნდა დაებრუნებინა 800 აშშ დოლარი და 350 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ 04.05.2018.

4.1.5 ადვოკატმა ლ. ჭ.-მ საჩივრის ავტორს დაუბრუნა - 500 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მისი ინტერესების სასარგებლოდ, მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების საკითხზე ადვოკატს „არაფერი გაუკეთებია", თუმცა არ უარყოფს, იმ გარემოებას, რომ მან მიმართა ქონების ეროვნულ სააგენტოს და იმყოფებოდა მარნეულში საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატი არ ეთანხმება მომჩივანის პოზიციას და განმარტავს, რომ სწორედ მის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად შეძლო ნ. ნ.-მა მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა საჩივრის ავტორის, როგორც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ განახორციელა გარკვეული იურიდიული მოქმედებები. კერძოდ, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დასტურდება, რომ ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით, მიმართა რუსთავის გუბერნატორს მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე თანხმობის მიღებისათვის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მარნეულის რაიონის სოფელ ----ში მდებარე მიწის ნაკვეთის პირდაპირი გზით მიყიდვის თაობაზე (იხ. ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართვა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 01.02.2016).

5 შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დაადგინა, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ დარღვეულია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირებისა და მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოების ეთიკური ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).

6.2 „საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14).

6.3 მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების „ვალდებულების არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, 3) მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები თუ მიმართოს სხვა კანონიერ საშუალებებს მისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.4 „ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჟთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 10.01.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N011/18).

6.5 „ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს, შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთახღიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს საწმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

6.6 ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატმა ჰონორარისაგან დამოუკიდებლად უნდა განუსაზღვროს კლიენტს მოსალოდნელი ხარჯების სავარაუდო ოდენობა. ეს შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ბაჟი, საექსპერტო, სატრანსპორტო, საკანცელარიო, სანოტარო, სამთარგმნელო და სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება კლიენტის საქმის წარმოებასთან. ეს თანხა არის მინდობილი თანხა, რომელიც წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. შესაბამისად, პროფესიული სტანდარტები ადვოკატისთვის განსაკუთრებულ ფიდუციურ ვალდებულებებს აწესებს ამ თანხების მართვისას.

6.7 მხარეები უთითებენ რომ ადვოკატის მიერ მიღებული თანხა მოიცავდა საქმეზე გასაწევ ხარჯებსაც. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ნ.-ის საქმისწარმოებისთვის მან გაიღო დამატებითი ხარჯი, მათ შორის აღნიშნული მოიცავდა საქმეზე გადაადგილებისთვის

სატრანპოსრტო ხარჯსაც, როდესაც მარნეულსა და რუსთავში იმყოფებოდა და მტკიცებულების სახით კომისიაში წარმოადგინა „გ. გ.-ის ხელწერილი“ - 27.07.2020, რომლის მიხედვითაც ის უთითებს, რომ ნ. ნ.-ის საქმისწარმოების ფარგლებში „ემსახურებოდა მისი მანქანით ადვოკატ ლ. ჭ.-ს“, თუმცა მოცემული ხელწერილით ან სხვა დამატებითი მტკიებულებით არ ირკვევა კონკრეტულად რა ხარჯი გასწია ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატი უთითებს, რომ ნ. ნ. ინფორმირებული იყო საქმისწარმოების ხარჯებზე, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები კომისიისათვის არ წარუდგენია. ეთიკის კომისიის განმარტებით, საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯებისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულების შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატმა კომისიას სარწმუნო და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დაუდასტუროს, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო მოსალოდნელ ხარჯებზე და გადაეცა მას მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვა.

6.8 კოლეგია აღნიშნავს, რომ ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულების დაცვა კლიენტის ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია; თუმცა, ამ ვალდებულების შესრულება, ასევე მიზნად ემსახურება მინდობილი თანხების შესახებ ადვოკატ-კლიენტს შორის შესაძლო სამომავლო დავის პრევენციას. ხარჯთაღრიცხვის წარმოება ეხმარება ასევე ადვოკატს ურთიერთობის შეწყვეტისას, სწორად განსაზღვროს კლიენტისათვის დასაბრუნებელი თანხები, მის მიერ კლიენტის საქმეზე გაღებული ხარჯის გამოკლებით. განსახილველ შემთხვევაში, ვერ დგინდება რა ოდენობა დახარჯა ადვოკატმა კლიენტის საქმეზე, რადგან ადვოკატს არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა. ასევე, ვერ დასტურდება კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება მოსალოდნელი ხარჯებისა და მინდობილი თანხების კეთილსინდისიერ მართვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ დარღვეულია მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების, მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოებისა და კლიენტისათვის წარდგენის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.6, 8.12).

6.9 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ დარღვეულია წარმომადგენლობის შეწყვეტისას კლიენტისათვის ფულადი სახსრების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, თუმცა, არ დარღვეულა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის

დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

6.3 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 12.09.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N015/18).

6.4 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ლ. ჭ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ვადამდე, საადვოკატო მომსახურების სრულ დასრულებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა საჩივრის ავტორის ინიციატივით, ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობისა და გამოუყენებლი მინდობილი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებამდე ადვოკატმა საჩივრის ავტორის საქმეზე შეასრულა იურიდიული მოქმედებები, რაც საჩივრის ავტორის მიერ მარნეულში მდებარე მიწის ნაკვეთის მის მიერ შეძენის საკითხს ეხებოდა. კერძოდ, ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით, მიმართა რუსთავის გუბერნატორს მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე თანხმობის მიღებისათვის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მარნეულის რაიონის სოფელ ----ში მდებარე მიწის ნაკვეთის პირდაპირი გზით მიყიდვის თაობაზე, რის შემდეგაც, კლიენტმა, ადვოკატთან შეუთანხმებლად, აუქციონზე შეიძინა მისი ნაკვეთი და შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება (იხ. პუნქტი: 4.2.1). კლიენტს აღარ გადაუხდია ადვოკატისათვის შეთანხმებული „წარმატების ჰონორარი“ და მოსთხოვა უკვე გადაცემული ფიქსირებული ჰონორარის უკან დაბრუნება. ადვოკატმა კლიენტს, მიღებული $1000 აშშ დოლარიდან დაუბრუნა $500 აშშ დოლარი, რაც ეთიკის კომისიის შეფასებით, წარმოადგენს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციულ ოდენობას. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატმა დარჩენილი თანხის დარბუნების ვალდებულება იკისრა სასამართლოში ნ. ნ.-თან გაფორმებული მორიგების აქტით (იხ. პარ.4.1.4), თუმცა მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება მორიგების აქტის საფუძველზე ადვოკატის მიერ კონკრეტული თანხის დაბრუნების ვალდებულებაზე მსჯელობა. ეთიკის კომისიის კომპეტენციაა შეფასოს ადვოკატის ქმედების შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტებთან. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას კლიენტს დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა, რითაც შეასრულა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის მოთხოვნები ამ ნაწილში.

6.5 ვინაიდან, დგინდება რომ მომჩივანისგან მიღებული თანხა მოიცავდა საქმეზე გასაწევ ხარჯებსაც, თუმცა მიღებული თანხის ფარგლებში არ დადასტურდა თუ რა ხარჯი იქნა გაწეული ადვოკატის მიერ და მინდობილი თანხის რა ნაწილი დარჩა ადვოკატს კლიენტისათვის დასაბრუნებელი, სახეზეა კლიენტისგან მიღებული მინდობილი თანხის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა. კომისიის შეფასებით, ადვოკატის ვალდებულებაა ამტკიცოს კლიენტის მიერ მინდობილი თანხების კეთილსინდისიერი მართვა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის წარმოება; ხოლო, ურთიერთობის შეწყვეტისას, გამოუყენებელი მინდობილი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების შესრულება. ეთიკის კომისიის შეფასებით, სარწმუნო

მტკიცების სტანდარტით ვერ დასტურდება ადვოკატის მიერ აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების - კლიენტის ფულადი სახსრების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) შესრულება.

6.6 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის - მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების, კლიენტის საქმისწარმოების ხარჯთაღრიცხვისა და კლიენტის მიერ მინდობილი თანხის დაბრუნების ვალდებულებათა დარღვევისათვის უნდა განესაზღვროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.7 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა არსებულ პრაქტიკას და განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).

6.10 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.11 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 29.11.2013 წლის გადაწყვეტილება, საქმე დს–შ/15–13).

6.12 ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკურ ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს მოპასუხე ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში,

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მომჩივანმა ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების შემდგომ დაასრულა ის საქმე, რისთვისაც მან მიმართა ადვოკატს, კერძოდ, დაირეგისტრირა მარნეულში მდებარე მიწის ნაკვეთი. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების სრულად შეუსრულებლობის გამო, მომჩივანს დაუბრუნა მიღებული ჰონორარის გამოუმუშავებელი ნაწილი.

6.21 კოლეგია მიიჩნევს, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ლ. ჭ.-ის წინააღმდეგ.

6.22 „კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20.10.20 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 063/19).

6.23 კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.24 ადვოკატისათვის საჩივრის ავტორის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან ადვოკატისათვის კონკრეტული ქმედების დავალდებულება, მათ შორის თანხის დაკისრება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 9.1(ა)). ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ადვოკატის შესახებ შემოსული ინფორმაცია, შეისწავლოს მისი საფუძვლიანობა და გადაწყვიტოს ადვოკატის დისციპლინირების საკითხი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 28.10). საჩივრის ავტორს განემარტოს, რომ თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში ის უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, 32.1, 34.2(ა), 35, 35[1], 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6, 8.12 და 8.15 მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33.11, 35, 38 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N006/20 დადგინდეს ადვოკატ ლ. ჭ.-ის /სიითი №/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/